საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №01-11/95

ქ. ბათუმი 26 03 2018 წ.

2018 წლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. 2018 წლის განმავლობაში, სამინისტროდან მოსაკრებლის გადახდის გარეშე გაიცეს თითოეული განმცხადებლის მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, თუ მათი ასლების საერთო რაოდენობა არ აღემატება 5 გვერდს.
2. 2018 წელს, მოსაკრებლის გადახდის გარეშე გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 80 გვერდს.
3. ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა დაევალოს სამინისტროს საქმისწარმოებისა და ადმინისტრირების განყოფილებას.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის: ქალაქი ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ.№9), ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინგა შამილიშვილი
მ ი ნ ი ს ტ რ ი